თეატრი და ცხოვრება

სალიტერატურო სამხატვრო ჟურნალი

გაუმარჯოს თავისუფალ საქართველოს!
გაუმარჯოს საქართველოს
დემოკრატიულ რესპუბლიკას!

გაუმარჯოს თავისუფალ ხელოვნებას
თავისუფალ საქართველოში!

,,თეატრი და ცხოვრება''

წლიურად 15 მან., ნახევარი წლით 9 მან. თითო ნომერი—1 მან. ხელის მოწერა მიიღება: თბილისში, ბაზრის ქ. № 20, ალექსანდრეს ბაღის პირდაპირ. თბილისი, რედ. „თეატრი და ცხოვრება“ იოსებ იმედაშვილს.

1918 წ. № 12 კვირა, ენკენისთვის 2 | ფასი 1 მან. | წელიწადი მეექვსე გამოცემის

ჩვენი დელეგაცია ბერლინში

ს. კედია, გ. მაჩაბელი, მ. წერეთელი;
ნ. ნიკოლაძე, ა. ჩხენკელი ზ. ავალიშვილი.

სანდრო კეცხოველი

ძველი პოლიტიკური მოღვაწე ციხე-კატორღა-ციმბირში ხანგრძლივ ტანჯული, ცხინვალის პირველ ამბოხებაში წამებით მოკლული. (ხი. შემდეგ ნომერში ნ. მერკვილაძის მოგონება).

გენ. ალ. გრ. კონიაშვილი

ანარქიის ჩასაქრობად საქართველოს მტრების წინააღმდეგ მებრძოლ გვარდიის ერთი ხელმძღვანელთ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

საერო ლატარია

სხვა სახელი არ შემიძლია ვუწოდო იმ ლატარიას, რომლის ბილეთებიც უკვე გამოვიდა და ისყიდება.

ეს არის საქართველოს უნივერსიტეტის ქართული თეატრისა და ქართველ მსახიობთა კავშირის სასარგებლოდ განზრახული ლატარია.

ჩვენი ერის ფართო ნაწილის უკან ჩამორჩენილობის მიზეზი რო მისი შეუგნებლობაა სწავლა განათლებით მოუმზადებლობა, ეს საიდუმლოებას აღარ წარმოადგენს.

და სწორედ ის დარგები, რომლებიც ჩვენში სწავლა-განათლებას უნდა ავრცელებდენ, უმაღლესი მეცნიერობის სხივებს ერში ფანტავდენ, დღემდე არა გვქონდა, ან მოისუსტებდა. ასევე სავალალო მდგომარეობაში იყო ქართული თეატრი, რომელიც წინად მუდამ ნამდვილ მოწამეობრივს ეკლის გვირგვინს ატარებდა, ხშირად უბინაოდ წოწიალობდა, ბოლოს თავშესაფარიც დაეწვა და შარაზე დარჩა. ქართველი მსახიობის ბედი ხომ მუდამ სავალალო იყო და ამ სახელის მატარებელი რავდენათაც სცენაზე მეფე იყო, ჩვენთა გრძნობათა ბატონი, იმდენად კერძო ცხოვრებაში ჩაწიხლული, ჩამორჩენილი, ნაყირიყული..

ამიტომაც ჩვენის ერის გულშემატკივართ მოაწყეს ეს ლატარია, რომ ამ ჩვენი ეროვნული ნაკლის შევსება უფრო ადვილად შევძლოთ და მასში ყველამ მივიღოთ მონაწილეობა.

ვინ გამოსცა ბილეთი? ეროვნულმა საბჭომ, ქართულმა უნივერსიტეტმა და ქართულმა დრამ. საზოგადოებამ მსახიობთა კავშირთან ერთად. ეროვნულ საბჭოს მხრით ხელს აწერს გარეშე საქმეთა მინისტრი აკ. ჩხენკელი, ქართული უნივერსიტეტის მხრით — ივ. ჯავახიშვილი და დრამ. საზოგადოების მხრით—განათლების მინისტრი გ. ლასხიშვილი. მთელი ბილეთი ღირს 25 მან. მეხუთედი—5 მან.

ვისაც ჩვენი ეროვნულ-კულტურული აღორძინება რაიმე ღირებულებად მიაჩნია და სამშობლო საქართველო გულით უყვარს,—ის თავის წვლილსაც არ დაზოგავს და ხელს შეუწყობს ამ ლატარიის ბილეთების დროით განაღდებას. ნუ დავივიწყებთ, რომ ამ ბილთების კარგა დიდი ნაწილი მომგებანია!..

ჩვენი სამშობლო

საღათას ძილით შეპყრობილი რომ თავს აიწევს და წამოდგება, მის გარეშემო საქელეხოდ შეკრებილთ არა სჯერათ, თუ საღათას ძილში მყოფი ცოცხალია:

—ეგ მკვდარი იყო, მკვდარი, როგორ აღსდგებაო! იძახიან ერთნი.

—ვაჰი, რა ქელეხს მოვცდითო!—

გაიძახიან მეორენი.

—ფიქრი ნუ გაქვსო, ისევ წაიქცევა და სულს განუტევებს.

გაჰკივიან მესამენი.

—მაშინ მივსდგეთ და მისი ნამკვდრევი გავიყოთო.

სწორედ ასეთ მდგომარეობაში იყო ჩვენი სამშობლო და დღეს, ფეხზე წამომდგარს რომ ჰხედავენ, უკვირთ: ეგ ხომ მკვდარი იყო და როგორ ისულდგმულებსო?

ხუმრობა საქმე ხომ არ არის, მთელი ასი წელიწადი მიწას გაყრიდენ, სულთათანას გიგალობდენ, შენს სახელს თვით შენს შვილებს მუქარით და ათასის მანქანებით ავიწყებინებდენ რა არის შენის მამულ-დედულით მოელხინათ და ბოლოს თავი წამოიწიო,—ეს ხომ მეორედ მოსვლაა...

და ეს ჩვენის სამშობლოს „მეორედ მოსვლა“ არა სჯერათ ჩვენის ქვეყნის სიკვდილის მონატრულთ, ჩვენი დასამარების მოსურნეთ...

ამიტომაც არის რომ ასე გამძაფრებით ცდილობენ ჩვენის ქვეყნისა და მის მესვეურთა დასამარებას.

როდესაც ასე იქცევა უცხო ხალხი ჩვენის სახელმწიფოს გარეშე მტერი, ეს ადვილად გასაგებია, მაგრამ შენ, ჩემო მრავალტანჯულო საქართველოს სოფლის შვილო, შენ რაღა გემართება, რომ შიგა და შიგ ნტრის ანკესზე წამოეგები და შეჰყვირებ ხოლმე:

—დაე, მტერმა გამქელოს, არც საკუთარი ჭერი მინდა, არც სამშობლო მწამს, არც ჩემი მიწა-წყალიო...

არა მიწა-წყალს კი ებაღაუჭები (ღმერთმა მშვიდობაში მოგახმაროს), მხოლოდ საქართველო და საქართველოს მთავრობის სახელით მართვა-გამგეობა კი შენს თავში ვერ შესულა...

—ჰაი, დედასა სად არის ი ტრაკენიკის ან პრიტავის მათრახი რომ ერთი ცრემლს არ გადმომაყრევინებს—ძირს ბატონს არ მომაგონებს და მაღლა ღმერთს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

—ხომ ამას ფიქრობ?

—ღმერთმა ნუ ქნასო... შემომძახებ და ისე კი იქცევი, რომ სწორედ ეს გენატრება.

საიდანა სჩანს?

ეს იქიდანა სჩანს, ჩემო ძმაო, სოფლელო მოქალაქევ, დღემდე რომ ყაზახ-ტეტიას გეძახდენ, ხან სად მიემხრობი შენსავე სამშობლოს მტრებს. ხან სად? —ცხინვალშიო, დუშეთშიო, საჩხერეშიო, სოხუმშიო, ბორჩალოშიო, კახეთშიო...

ვინ არიან საქართველოს მტრები? —ყველა ისინი, ვისაც ჩვენი სამშობლოს თავისუფლება გულსა სძმარავს, ვისაც დღე ღამ ვერ მოუსვენია, როგორ თუ საქართველომ დამოუკიდებლობა გამოაცხადა, თავისუფლად ამოისუნთქა და ჩვენ მართველობის უფლება წაგვერთოო, ყველა ისინი, რომელნიც ჩვენის ქონებითა და ჩვენის შრომით სცხოვრობდნენ —ვაა, შეხე ტუტუც ქართველებს, ხელიდან როგორ გაგვიფრინდნენო... ვინ არიან ესენი? ხალხი ყლაპია რუსები, კაციჭამია სომხები (შოკინისტებზე მოგახსენებთ), თავისი თავის უცნობი ქართველები, ყველა ისინი, ვინც ჩვენის ქვეყნისა და გლეხის ხარჯზე ნებივრობენ. ყველა ამათ საქართველოში ჯერ კიდევ კარგი ადგილები უჭირავთ, ასე იფიქრე სოციალისტობენ კიდეც, ჩვენის სამშობლოს ჰაერით სუნთქავენ და თავზე კაკალს გვამტვრევენ.

ამ შემთხვევაში ყველაზე მეტად ვინ ზარალობს?

ზარალობს საქართველოს ერთგული ქვეშევრდომი მოქალაქე.

ვინ არის საქართველოს ერთგული ქვეშევრდომი მოქალაქე?

ყველა ის, ვინც საქართველოს მიწა-წყალზე დაბადებულ-აღზრდილა, საქართველოს თავის სამშობლოდ აღიარებს, მის მთავრობას ემორჩილება, საქართველოს ბედსა და უბედობას იზიარებს,

მაშ ვინა ყოფილან ესენი?

ჯერ უპირველეს ყოვლისა საქართველოს ძველის ძველი მკვიდრნი ქართველნი ყველა კუთხისა: ქართლელნი. კახელნი, თუშ-ფშავ-ხევსურნი, რაჭველნი, გურულნი, მეგრელნი, ლეჩხუმელნი, სვან-აფხაზნი და სხ. ერთობ ამერ-იმერნი. ამის შემდეგ ისინი, რომელნიც საქართველოს მკვიდრნი არიან, მაგრამ სხვა სარწმუნოებას კი მისდევენ: ებრაელნი, ქართველმაჰმადიანნი, კათოლიკე და გრიგორიანი ქართველნი, სომეხნი, თათარნი, რუსნი და სხ. აგრ. ოსნი, ისინი კი არა რომელნიც ჩვენს სამშობლოს საიდუმლოდ ძირს უთხრიან, არამედ ისინი, რომელნიც ძილშიაც კი მღერიან:

ჩემი სამშობლო საქართველოა,
ლამაზად შენკულ და მოქარგული.

და შვილებსაც ჩასძახიან:

საქათველოს შვილი ხარ, შვილო,
იცან შენი ქვეყანა...,

დიაღ, ჩვენი კეკლუცი საქ.რთველო ყველა მის ერთგულ შვილთა სამშობლოა.

საქართველოს ყოველი კუთხის შვილი თუ ერთმანერთს მხარს მივცემთ, ერთმანეთის კალთას დავიჭერთ მაშინ გავძლიერდებით. შეხე მტრები გველივით როგორ ჩაგვსისინებენ:

—ვა, ერთი უყურე მაგ იმერლებმა ლამის საწყალი ქართველები ჩაყლაპონ,—გაიძახიან მართლა და ქართველების ჩაყლაპვის მონატრენი: მინისტარი გინდა—იმერელია, კამისარი გინდა—იმერელია, კანდიხტორი გინდა—იმერელია... ვაა, მაშ რიღას ქართველები ხართ თუ კი იმერლებს თავს წამოისხამთ...

ხომ გესმით?—განა იმერელი იგივე ქართველი არ არის... ჰაი, ჰაი, რომ არის. მაშ რაღათ გვაცალცალკევებენ?—იმიტომ რომ ჩვენის დანაწილებით თვითონ ამაღლდენ.

მახეში აღარ გაება ჩემო ძმაო, სოფლის მოქალაქევ.—კიდევ გეტყვი: ამერ-იმერნი ერთი გვარი, ერთი დედმამის შვილნი ვართ; ხომ გაგიგონია ჩვენი სულმნათი აკაკისა:

„ჩონგური საქართველოა,
სიმები ჩვენ ვართ ყველაო,
სხვა და სხვა კუთხის შვილები...
ერთი მათგანიც რომ გაწყდეს,
მაშინვე უნდა შველაო.—"

მართალია ჩვენი სამშობლოს ყოფა ცხოვრება ჯერ კიდევ ისე არ არის მოწყობილი როგორც მოგვიხდება; მართალია თავისულება ბევრმა ისე გაიგო, რომ რაც შეიძლება ბევრი უნამუსობა ჩაიდინოს: უზომოდ ჰყვლიფოს ხალხი, იყაჩაღოს, იავაზაკოს; აქაო და მთავრობა ჩვენივე ,,ამხანაგებისგან'' შესდგება და ამხანაგურად გვექცევა ჩვენც ,,ამხანაგურად'' ვითევზაოთ, სანამ წყალი მღვრიეაო; ისიც სწორეა, რომ ჩვენმა ხალხურმა მთავრობამ ჯერ კიდევ ფიცი არ მიგაღებინა, სახლხო სადილი არ გაგიმართა და თითო ჯამფიელაკოვზი არ გაგატანა სახლში, ჯერ ხნობით სრულიად ვერ გაგანთავისუფლა სიბნელისა და სიღატაკისგან, მაგრამ იგი—საქართველოს მთავრობა მაინც შენი სისხლი და ხორცია, შენთვის მზრუნველი. რომ უკეთესი წესწყობილება მოგანიჭოს...

განა ბავშვი რომ დაიბადება უცებ ფეხზე დადგება? და ჩვენი ქვეყნის მართვა-გამგეობა ხომ ახლად დაბადებულ ბავშვსა ჰგავს. ადამიანის ჯანს რომ სენი შეეპარება, უცებ გაჰქრება? არა განა. და ჩვენი სამშობლოს სხეულს მთელი ას ჩვიდმეტი წელიწადი რომ შხამი ეწვეთება განა უცებ გამოეცლება?

ჩვენი სამშობლო თუ ქრისტეს უწინარეს საკუთარი სახელმწიფოებრივი ცხოვრებით სტკბებოდა, მას შემდეგ თიოქმის ორი ათასი წელიწადი თვით გამგებლობდა, და ოქროს ხანაც კი შევქმენით, დღესაც ასე იქმნება, ოღონდ შენ მეტი შორსგამჭვრეტლობა, მეტი მუყაითობა, მეტი თვითმოქმედების უნარი გამოიჩინე შენი სამშობლოს-აქართველოს საკეთილდღეოდ.

იოსებ იმედაშვილი

ეროვნული ბიბლიოთეკა

ქართული საეკლესიო გალობა

ჩვენმა ბედკრულმა საქართველომ, უკუღმართი რუსეთის უღვთო და წაწყმედილი მადაგახსნილობით დამოუკიდებლობა დაკარგა. წარსული საუკუნის განმავლობაში მონობის უღელს ქვეშ გვატირა. ჩვენი ყველაფერი კულტურული დარგი საფლავის კარზე მიაგდო. უხსოვარ დროიდან, წმინდა მამათაგან კრების დადგენილებით დამტკიცებული ჩვენი ეკლესიის დამოუკიდებლობა, ავტოკეფალობა მოსპო, და ჩვენი უფლება მოსილი ეკლესია, მის (რუსეთის) უუფლებო ეკლესიას დაუმორჩილა და ვინ იცის რა უცნაური ძალმომრეობა არ იხმარა. მარა, ნამეტანმა ატროკებამ და უღვთო მოქმეღებამ იგი დასცა...

თქმულება გამართლდა: გზა ნაგზურს და წყალი ნარწყულსო.

ჩვენმა ქვეყანამ კვლავ იხილა სინათლე. სამეფო აღზდგა და ეკლესიის ავტოკეფალობა განახლდა. ასრულდა ნატვრა ქართველთა. ჩვენი სიხარულის ბოლო დაუსრულებელია.

ჩვენი უღირსი შვილების მიხლა-მოხლა დროული და გარდამავალია. ლობიო რომ იხარშება კაკლები ირევიან ჭურჭელში, მაგრამ როცა მოიხარშება, კაკლები ერთი მეორეზე დალაგდება... წყალნი წარვლენ და წამოვლენ. ქვიშანი დარჩებიანო.

ახლა საჭიროა ჩვენის მხრით ყოველგვარ კულტურულ დარგში მუშობის გაძლიერება, რომ წარსულ უკუღმართ დროს მოუწყობელი და შეფერებული გამოაწყოს და რიგში ჩააყენოს. ყოველგვარი ჩვენი გადარჯულება გადმოარჯულოს და გააქართულოს.

ჩვენს ეკლესიაში, ვადლობა ღმერთს, წირვა-ლოცვა ქართულად სრულდება, არ დაგვიწყებია იგი. მაგრამ, გალობის შესახებ რა ვთქვათ? იგი აღგვილა ჩვენს ეკლესიებში მხოლოდ ნასახია მისი. ქართველი ეკლესიისთვის, და ქართ. ყურთათვის შეუსაბამოა იგი. ქართველთა გულსა და სულს ვერ სწვდება-იგი მოსწონს მხოლოდ ქართველთა გადაგვარებულ ყურსა და გულს. ამ დარდს ჯერ ჩვენს განახლებულ ხანაში არავითარი ყურადღება არა აქვა მიქცეული.

ორი თვის წინეთ, ყ-დ სამღვდელო ქუთათელ მიტროპოლიტმა ანტონიმ გადაწყვიტა, რომ ყოველგვარი საშუალება იხმაროს ამის შემობრუნებისა და მშობლურ ნიადაგზე დაყენებისთვის; დაბეჭდა მოწოდება გალობისათვის გულშემატკივართა, საპატიო პირთათვის იწვევდა მათ სათათბიროთ რომ აერჩიათ კომისია ამ საქმის კეთილ დასაგვირგვინებლათ. მაგრამ ჩვენი ქვეყნის ათასგვარმა მიხლამოხლამ შეაჩერა ღროებით და დაბეჭდილი მოწოდებები ჯერჯერობით უმოძრაოდ აწყვია (ეს იყო ბათუმის დაცემის დროს).

ასეთივე მოწოდება ჩვენ წავიკითხეთ ,,საქართველოს 153-№—ში, მაღალ ყოვლად უსამღვდელესის თბილელ მიტროპოლიტის ლეონიდესი, რამაც ჩემში მეტი სიხარული გამოიწვია, მით, რომ გალობის აღდგენას კიდევ ყოლია გულშემატკივარი პატივცემული ბ. ბ. ი. გ. ივანიძის და მ. გ. მაჩაბლის სახით და იმედი ორკეცდება, რომ ქართულთა საზოგადოებაში კვლავ მრავალი აღმოჩნდება ასეთი დამხმარე.... მაგრამ თუ როგორი სახით და რა წ-რმატებით განხორციელდება ეს, საქმე ამაშია.

ჩემი ღრმა რწმენით, საეკლესიო გალობას არავითარი ჯიჯგნა არ უნდა დაუწყოს ვინმემ გადაკეთების სახით. ჯერჯერობით იგი უნდა აღსდგეს იმ წესით და სახით, რა განვითარებითაც იგი იყო, როცა ჩვენი ყველაფერი ჩვენობდა და უცხო ხმებით არ იყო იგი აფორიაქებული. სანამ ის თავის სისრულით აღდგებოდეს, უნდა დარჩეს იგი საშხიანი, სადაც სამს კაცსაც შეუძლია იგი იგალობოს სასიამოვნოთ და თუ გნებავთ ასსაც. როცა ამ ნამდვილ ქართულ კილოკავებს თვისი ეროვნული თვისებით შესწავლის სიმტკიცით ჩვენი დღევანდელი გალობის გადაკეთების მოსურნე კომპოზიტორი (მე სახეში მაქვს მთელი საგალობლები, რომელნიც არა ერთი და ასი და არა მარტო წირვის გალობა), მაშინ შეეძლება ჩვენი გალობის გადაკეთებაში სამსახურის გაწევა, მაგრამ აქაც საჭიროა სიფრთხილე. დამწერნი, ორი-სამი კარგათ განსწავლილნი მუსიკოსნი უნდა იყვნენ და არა ერთი რომელნიმე თავის ჯინის და გემოს შემსრულებელნი. ასეთი სიფრთხილე მიტომაა საჭირო, რომ ჩვენს გალობას არ დაეკარგოს თავისი ნაციონალური სახე. ხშირად, ოთხ ხმაზე და წესის დროს ზოგ მუხლებს კვეცენ, რომ მეოთხე ხმას შეეწყოს და ამათი ქართულ ხმებს ეკარგება თავისი სახე და როცა ასე ხდება, ის გალობა ქართული აღარაა. ქართული გალობა ქართველის სულსა და გულთანაა შესისხლხორცებული და თუ ისე გადავქმენით, რომ, ის ხალხმა თავისათ ვეღარ იცნო, ეს გაკეთება კი არა გაკეთებულის სიკვდილი იქნება.

დღევანდელი ჩვენი განათლებული საზოგადოება და მასთან ჩვენი კომპოზიტორებიც ევროპის ყაიდაზე სჯიან, მათი ყურთა სმენა სლავიანურ ხმებზეა უფრო შეჩვეული და არა ითქმის, რომ სლავიანური ხმები უფრო არ მოსწონდეთ ერთსაც და მეორესაც. ამ მხრივ ძალიან დაკვირება მართებთ, რომ ეს ეროვნული დიდება, ერის სიმდიდრე გაკეთების მაგიერ არ წარვახდინოთ.

დეკანოზი რ. ხუნდაძე

ეროვნული ბიბლიოთეკა

ტკბილეგის ლანდი

ოცნებით ხან შენთან ვსარობ, ლანდს მივუვები წარსულ დღისას.
ლანდს მივუვები წარსულ დღისას, მაღალ მთაში მობინავეს.
ხან კი გულსა სევდა იპყრობს, წუთებს ვითვლი სიცოცხლისას.
წუთებს ვითვლი სიცოცხლებსას. სევდა თვალში ცრემლებს ირხევს.

შენი თვალი, ვნებით მთვრალი, მელანდება ღამის ფერად.
მელანდება ღამის ფერად, და მიცრემლებს დიდი თვალებს.
ვსტირი, ვგოდებ, შვებას არ ვგრძნობ, ჩამოვუვითლდი სანთლის ფერად
ჩამოვუვითლდი სანთლის ფერად, ნეტამც სული რად ვალალებს...

არ შორდება თვალთა ხედვას უიმედო შავი ლანდი,
უიმედო შავი ლანდი, უფერული ვარსკვლავთ გუნდი.
მინდა სევდა ავიცილო, გადვიხიო გულზე მანდი,
გადვიხიო გულზე მანდი, შვებასა გთხოვ ღამიბრუნდი ..

ოცნებით ხან შენთან ვსარობ, ლანდს მივუვები წარსულ დღისას,
ლანდს მივუვები წარსულ დღისას, მაღალ მთაში მობინავეს...
ხან კი გულსა სევდა იპყრობს, წუთებს ვითვლი სიცოცხლისას.
წუთებს ვითვლი სიცოცხლისას, სევდა თვალში ცრემლებს ირხევს...

ზაირა

მარიამ მიხ. გიგოშვილისა
ქართული სცენის მოყვარე ათი წელიწადია, ქართ. სახალხო სცენაზე მუშაკობს. უკანასკნელი ოთხი წელიწადი თათრულ ოპერეტ ,,არშინ მალ ალან''-ში გულჩორას როლს ასრულებს. ამ ჟამად მძიმე ავადმყოფია.

ვანო გიგოშვილი
მთარგმნელი თათრულ ოპერეტების ,,არშინ მალ-ალანის'' და ,,მაშტი იბადისა''. თვითგანითარებული. მისგან ნათარგმნ ოპერეტებს პროვინციაში სდგავენ მის ნება დაურთველად. ამიტომ აცხადებს, არავის ნება არა აქვს ეს .პიესები ჩემს ნება დაურთველად დადგასო.

ყ ვ ა ვ ი ლ ი

ერთხელ კიდევ, ცის ტატნობზე,
მიუწვდინეს ვარსკვლავთ-მთვარეს,
მოკრძალებით ჩუმი კოცნა...
შორდებოდნენ ჩუმის მალვით,
მათ მზის სვლაში ცრემლი ღვარეს,
მზემ სხივები ამოსტყორცნა!..

ჩაეკონა ვარდ-ყვავილებს,
მათზედ მჯდარი ნამი ცვარი
დაამშვენა ოქროს მძივად...
მის ნათელში ვარსკვლავ მთვარე,
დაილივნენ ცრემლთა ღვარით,
დაილივნენ ცვარად... ცივად...

ერეკლე ყანჩელი

ჩემი სიმღერა

სიცოცხლე მსურს, მინობაზე ფიქრებს ალარ ენდები,
ალსდგა გმირი ამირანი, დაამსხვრია ხუნდები
სიფლავის კარს მიტანილი ბრძოლისკენ ვბრუნდები.
ვიბრძვი, თუმც ვარს მარტოა მესიფლავეთ გუნდები;
სულთათანს გალობა, მოზარეთ მოძახილი,
გვიან ირეს, შორს ჩემგან, ხელთ მიპყრია მახვილი.
დირსეულათ გზას ვიკვლევ თვითარსებას მწყალია
ჩამოშესხენ ქვემძრომ დედინაცვალ კალია!..

მუშა არ. ხაფთარ

ეროვნული ბიბლიოთეკა

ეროვნული ბიბლიოთეკა

ახალგაზდა მწერლები



(დავით ჩხეიძე)

მოლოზანი და მზე-ჭაბუკი

მიყვარს, სატრფოს შორეული ძახილი... მიყვარს ღამისა და დღის შეყრის წამი. ინნიბალის კრეტსაბმელი არც კია აწეული, რომ გავეშურები ხოლმე ქალაქ გარედ, ავდივარ სერზე და იქიდან უყურებ ცოცხალს სურათს დღე ღამის ტრფიალებისას...

ღამეს ვადარებ ცხოვრებისგან განდგომილს მოლოზანს, რომელმაც არ იცის სიგიჟმაჟე, არც სიცილი, არც სიტკბოება ხორციელი ტრფობისა...

აი, ამ ღამე-მოლოზანს შეიყვარებს მზე-ჭაბუკი განთიადი... შეიყვარებს მზე ჭაბუკი და გაუგზავნის უსტარს შუქურ ვარსკვლავის ხელით.

რა ამიჯნურო ლექსები არა სწერია შიგა...

წაიკითხავს თუ არა მოლოზანი ათრდოლდება შიშისაგან... ათრდოლდება მთელის თვისის ქალწულებრივი ბუნებით და გაფითრდება... ტუჩის ფერი დაეკარგება...

განთიადს უფრო უცხოველდება ტრფობა.
უხშირებს წერილების წერას...
მოლოზანს ტანჯვა ეუფლება...
შიშნეულობს: განთიადი საამო რასმეს არ მიპირებდესო...

მაგრამ შიშთან რაღაც უჩვეული გამოუთქმელი გრძნობებიც ეღვიძება...

თან და თან უჩინარი ძაფები ებმემა მისა და განთიადს შორის...

მართალია, ეს გრძნობა ჯერ გაურკვეველია, უსახო, მაგრამ საამო, იდუმალი ზილი მოისმის უცხო, განუცდელ გრძნობის გვრიტისა.

მოლოზანი სწუხს, როდესაც განთიადი დაუგვიანებს უ'ტარს. მაგრამ საკმარისია გამოჩნდეს შუქურა, რომ მოლოზანმა შუბლის კოპი შეიკრას... განგებ აიმზიროს... თავის მოკატუნება ხომ ქალების ნიჭია... ის ხომ მათი უბადლო თვისებაა მამაკაცების თვალების ა'ახვევად... ჯამბაზურად დასამარცხებლად...

აი, შათირნიც ააბლა მზე-ჭაბუკმა—მთიების მუზარადით დაგვირგვნებული შათირნი...

აი, თვითონაც მორჭმით ამოიხედა მთის მწვერვალიდან..

—ნუ, ნუ ჰთრთი გენაცვალე!.. ერთხელ, მხოლოდ ერთხელ მსურს შემოგხედო...

ვიშ, რა მომხიბლავი, რა წარმტაცი რაა ჰყოფილ ხარ!..

გულიკო, გულიკო! რომ იცოდე რა რიგ მიყვარხარ... ჯერ არც კი მენახნე რომ შენი ეშხი გულში მქონდა ჩაკვესილი... ხან მაკვნესებდა და ხან მანეტარებდა...

ჩემს სიზმრებში შენ, მხოლოდ შენ იყავ გაზაფხულის ლედოფლად... შენმა ტრფობამ შემაქნევინა უამრავი სიყვარულის ზღაპრები...

ამ ზღაპრებს საბრალო ადამიანი-მგოსნები მარადის ამღერებენ თავიანთს ქნარზე...

როგორც კი მიმეძინება მთის მწვერვალებზე-იგინი ნაბ-ნაბით მომიახლოვდებიან, ნაბრავენ შაირ-სიმღერებს და თავიანთად ასაღებენ.

წამოდი ჩემთან, საესავო!.. წამო ჩემს ბურჯზე!..

იქიდან გადმოგხედოთ ტურფა ბუნებას... სხივების ყაყაჩოებით დავამშვენოთ არე-მარე...

წამოდი ჩემთან და შენ შეიქმნები ქვეყნის თვალი... ყველა შენ დაგიწყებს ქებათა ქებას...

ნუ, ნუ ჰყოყმანობ, გენაცვალე, ნუ...
რა არის აღთქმა, მოლოზნად ადკვეცა?..
რა საჭიროა ლოცვა მწირული?..
ვით შეიძლება აქ არსებობა?..

აქ სინესტეა... სიყურსეა... აქ სიბნელეა გაუთენები... აქ ობი მოეკ'დება ყოველ-გვარს სწრაფვას... აქ ჟანგი ჩაჰკლავს ნაკურთხს ეშხს სიცოცხლისას... (დასასრ. იქნება)

ეროვნული ბიბლიოთეკა

ღ ა მ ე

ასაღამოვდა. თუმცა მზე ჩაიწურა, მაგრამ მის უკანასკნელი სხივები ჯერ ისევ ცის აწითლებულ ლოყებს ეალერსებოდა, როდესაც მრავალ ტოტებიან მუხამ მელანივით შავი ნოხები გაშალა თავის ქვეშ და ბინდი დაასადგურა. წამოიპარა ბინდი კლდის ნაპრალიდანაც, წნულ ღობებს ჩაჰყვა, ბუჩქებში შავძონძეულად გაიშალა და მუხის შავ ნოხებამდის მიაღწია. ღამის ფრინველის ფრთების ფართხუნით შეშინებული ბაჭია, ყურების პარტყუნით სკუპსკუპით ბუჩქნართა მუქ ბადეს მიეშურა, მიიმალა. დასავლეთ ათჯერ ისევ უნაბის ფერ ცაზეც, საღამოს ვარსკვლავი აკაშკაშდა. მიყუჩდა ასე. ტბიდან წამოწეული ნისლი მინდორ-ჭალებში გაიძენძა, ნედლ ბალახს სინოტიე გამოსცა. ბინდი გამუქდა, ბინდი შედედდა. ღამეა, ღამე...

კლდის ქიმმა დაღრეჯილ ას წლოვან კაკლებმა და მუხებმა რაღაც ფანტასტიური სილუეტები შეადედეს. ბუმ ტყეს გაჰყვირა; ტყეში ვიღამაც გადიხითხითა. მალე ჭინკებიც ბუქნას გამართვენ, ტყის პირას ციცინათელებმა თვალხუჭინა გააჩაღეს. მისტიური თრთოლა გაჯდა ძარღვებში. ცის ტატნობისაკენ აწოწილი ვერხვები ერთმანეთარი რაღაცას დუდუნებდნენ; ჯადოსნურ ზღაპარს თუ ამობენ! გრილა, სიომ ეხლაც არ მოისვენა, ტყიდან ჩამოისისინა, ჩამოუთამაშა ბუჩქნარებს, რაღაცა წასჩურჩულა მათ და ცელქათ გაინავარდა მინდორს დანამულ ყვავილებსაკენ. ბუჩქები შეტოკდნენ, აშრიალდნენ; ნიავის მოტანილი ჭორი ერთმანეთს გაუზიარეს, გაშტერდენ, ჩასთვლიმეს. ცნობისმოყვარე ლერწმებსაც უნდოდათ რამე გაეგოთ, თავი დაჰხარეს ბუჩქებისაკენ, მაგრამ რაკი ვერა გაიგეს რა, თავი გაიქნ-გამოიქნიეს ცახცახით და ცისაკენ აიწოწნენ. ცა მოკირწყლულიყო მნათობთა რაზმებით. ღამეს სთვლემს ღამეა სძინავს ვარსკვლავთ უსიტყვო ლეგენდა-ზღაპრით მიბნედილს. ეს არის ერთი იმ ღამეთაგანი, როდესაც ადამიანი უფრო და უფრო გრძნობს სულის სიმარტოვეს, თვის უმწეო მდგომარეობას ყოვლად შემძლე ბუნების მარტოა ადამიანი ამ დროს, ყველა ღამის შავი ხავერდოვან ძოწეულშია გახვეული, იგი არავის ხედავს, მხოლოდ გრძნობს თავის სულის ყვეთებას, თავის არსებას. ეყურება თავის გულის ყრუ დაგიდუგიც. ეს იმ ღამეთაგანია, როდესაც ადამიანს სწყურის მეგობარი სურს მახლობელი, აზრების გამზიარებელი, სწყურს სიყვარული... სწყურს ვინმე, რამე; ეძებს ვიღაცის თბილს ხელს... მაგრამ ეგებ ყველა ეს ღამის ბრალია?! თორემ ადამიანი ხომ მარტოა შობილა ქვეყნად და არა მეგობრით? დიაღ, მარტო!

მარტო იყო მაშინ, მარტოა ეხლა დამარტოკა ამოუა სული, თუნდ ეხვიოს მას ვარსკვლავი უმრავლესი მეგობრებიცა... შარაზედ თხა თავის ქნევით მოაპაკუნებს ფეხებს: უცებ შესდგა, წვერები გააცანცარა, ისკუპა და დაიტიბა, გაიქცა კუნძის დაშინებული—მგელი ეგონა. გაკურცხლა თავის ამფსონების საძებნელად.

ეს იმ ღამეთაგანია, როდესაც ტყეში დარჩომილთ აპრიალებული ტკაცუნა ცეცხლი თვის გარშემო ერთმანეთს შეაჯგუფებს სოლმე. აქ ცეცხლის ირგვლივ სჯიან, ბაასობენ, ერთმანეთს გულს უშლიან, მუსაიფობენ. ირგვლივ ხავერდოვანი ღამეა გაღრმავებული. ღამის სიღრმეში მგლები დაწანწალებენ, ყმუიან, თვალებს აელვარებენ... ცეცხლთანკი თბილა კარგა, ზღაპრებს ამობენ. ცეცხლი ხალხს აერთებს წყვდიად-ღამეში ალიონის მ ოლოდინში.

რა მშვენიერია ღამე, რა მისტიური მყუდროებაა გამეფებული. ციცინათელები ჯერაც არ მოქანცულან თვალხუჭინას თამაშობით. ბუ კვლავ გაჰკივის!..

მილოზი-მიშა ლომიძე

ს ა ლ ა მ ი (საჩხერის გმირს გამყრელიძეს)

შენ მამაპაპის სული გამკობს, მიტომ ხარ გმირი;
მან ბრძოლის ხმაზედ გაიღვიძა, დაჰკრა საყვირი!
და მოუწოდა შენებრ გმირებს, იხსნას მამული,
ქართველთა ოფლით მონაგარი, სისხლით ნამული!..
ეგ მთა-ველები, ციხე-კოშკნი, ძველთა-ძველები,
წარსულ ბრძოლების მოწამენი, უტყვი მთქმელები,
ხმა იდუმალით ეგეც გვიხმობს, გავხდეთ. მცველები,
ვიხსნათ სამშობლო წინაპართა ბრძოლას ველები!
სირცხვილი იმათ, ვინც ვერ იცნო მშობელი არე,
და ვ ნც თვის მოძმეს გაუთხარა შავი სამარე,
ბრძ ლა მათ მკვეთრი და მედგარი, დაუნდობელი,
ალამი გმირებს, დაღუპულთ-კი შესანდობელი!..

მუშა **მიხ. დევაძე**

ეროვნული ბიბლიოთეკა

„ცხრა ბარათი"-დან

ალბად, ზოგიერთ დაინტერესებულ პირთ მოეხსენებათ, რომ ამას წინად თბილისში, ფიქრისგორის გადასწვრივ, გარდაიცვალა ერთი ახალგაზდა ცირა: ს. ჯ. მის ხელნაწერ რვეულებში „დღიურების" გარდა, აღმოჩნდა უამრავი წერილი ერთი ჩვენი მოშაირე-მგოსნისა. ჩვენ ამ ხელთნაწერიდან ამოვარჩიეთ მხოლოდ ცხრა ბარათი. ყველა კი იმდენი იყო, რომ ერთად რო შეგვეკრა თექვსმეტ კარიან „ყარამნიანს" აღემატებოდა თავის სიმსუქნით. ეს ცხრა წერილი, რომელსაც მაინც და მაინც არა აქვს ინტიმიური ხასიათი, გაუგზავნეთ ავტორს და შევეკითხეთ: ნებას გვრთავს დავბეჭოთ თუ არა? პასუხი მივიღეთ. წერილის ქიმზე ეს მიეწერა: „დაბეჭდეთ რა! გრიშაშვილი."

რედ.

—,,კარგი ხარ მგოსანო, კარგი! მაგრამ ერთი ცუდი ჩვეულება გაქვს: ჯიუტი ხარ! თავხედი! აასხავ ხოლმე ქედმაღლობის გულქანდას გოროზობის ყაითანზე და იქიდან ერთი მძივიც კი არ გემეტებათ სხვისთვის"—ო!

შენი წერილი, ჩემო კარგო, ასე თავდებოდა.

მაშ მომისმინე.

რასაკვირველია, შენი ბარათი ეხება ჩემ მიერ ჩემი ლექსების კითხვას.

კეთილი და პატიოსანი!

და ამ ამონაწერ სიტყვებით კი იმას მიკიჟინებთ, რო მე სცენაზე იშვიათად ვკითხულობ ჩემს ლექსებს და თუ ვკითხულობ, მაშინაც კი რაღაც ორიოდე ლექსს წარმოვსთქვამ ხოლმე.

ხომ ასეა? არა?

ჰმმ! ,,ეშხი" იცი რას ნიშნავს?

რუსულად ამ გრძნობას ,,ნასტროენიე" ეწოდება მგონი! მე კი ქალაქელი ბიჭი ვარ და მოდი ,,ეშხს" დავარქმევ.

ოო-ო! ეშხი? ეშხი პირველი საქმეა!

ჯან! რა კარგია ,,ეშხი" და! თუ ადამიანს ეშხი არა აქვს, მორჩა, იმისი გაფოთლილი ხე ვერავითარ ნაყოფს გამოიტანს.

იქნება მითხრა: ,,შენ რა ნება გაქვს შენს თავზე იფიქრო, შენ ჩვენ გვეკუთვნიო" და სხვა...

აი, უცნაური კითხვა—ვინ ფიქრობს მერე?

მე რომ ჩემს თავზედ ვფიქრობდე, შენმა გაზრდამ, ლექსებსაც კი არ დავწერდი! და...

ლექსის წერაც ხომ ერთგვარი ავადმყოფობაა!

რაკი ეს პოეტობა თუ რაღაც ჯანდაბა და დოზანაა—ღმერთმა სასჯელად მიბოძა, მეც ვიხდი ამ ყავლგაუსვლელ ცოდვას.

მაგრამ მომისმინე:

მე როცა სცენაზე გამოვდივარ, პარტერში უეჭველად ერთი ვინმე უნდა მყავდეს. სულ ერთია ეს ,,ვინმე" გვირგვინოსანი იქნება, თუ ქაშნიკ-აულებელი.

უკანასკნელ საღამოზე კი ასეთი „ვინმე" არა მყავდა პარტერში და მაშასადმე ,,ეშხიც" აღარ იყო.

უეშხოდ კი თვით ანტექრისტე რომ ჩამაცივდეს თავის ტარტაროზებით, ლექსს ვერავინ ვერ მათქმევინებს ძალათი.

ასეა და რა წყალში ჩავვარდე, ჩემო.

აბა, მე რა ვქნა, რო მგოსანი ერთისთვის კითხულობს და მრავალი კი სტკბება?

. . . .

წავიკითხე ორი ლექსი. უგულოდ წავიკითხე. ჰაიჰარად. ნაჩქარევად. თითქოს ვცდილობდი, რომ რაც შეიძლება ჩქარა დავშორებულიყავ პარტერს.

თქვენ კვლავ გსურდათ ლექსები... მე კი უჯიათობა გამოვიჩინე და აღარ ,,გაღირსეთ მძივი გულქანდისა."

ხომ?

საქმე არც აგრე გახლავს და! კვლავ რომ წამეკითხა ლექსი, ეს ოხერი ეშხი აღარ მექნებოდა და უეშხოდ ლექსის წაკითხვა კი ცოდვაა ხელოვნების წინარე.

ღმერთმანი ცოდვაა!

მე ვიცი იტყვი: ,,ჰაიდაჰაი! დიაღ! როგორ არა; ის ორი ლექსი რო მოეწონა ყველას და კვლავ სურდათ შენი ნახვა, სჩანს ეშხიც გქონდაო.

აჰხ, არა, არა! აბა გულნარას ჰკითხე; იმას ბევრჯელ გაუგონია ეგ ლექსი-და ის გეტყვის რომ არ იყო ჩემებურად დამარცვლული!

გარდა ამისა მე რომ სცენაზე ლექსებს ვკითხულობ, უამრავ გრძნობას ვხარჯავ. ვიღლები. რაც გრძობა მაქვს თქვენთან ვტოვებ, მე კი დაფუკული გავდივარ სცენიდან.

,,აი მიზეზი სულო ჩემო, აი მიზეზი," თუ რატომ ხშირად არ ვეწვევი ხოლმე ჩემს საყვარელ სცენას.

ვყაირათობ, გესმის, ვყაირათობ!

ჩემო გოგონი! მე ხომ მსახიობი არა ვარ, რომ სცენაზე სხვისი ტანჯვით გავიტანჯო, ავკაეშნდე სხვისი კაეშნით, შევფერიანდე სხვისი ღიმილით ან-და ავღიტინდე სხვისის ალერსით.

მეცა მაქვს ჩემი ,,ღელვა სულისა," მეცა მაქვს ჩემი საკუთარი გრძნობა, რომელსაც ვერ ვაძგერებ ,,ძალდატანებით!"

თქვენ—საზოგადოება—ფიქრობთ თქვენს დატკბობაზე და ოდესმე დაფიქრებულხართ, მგოსნის ტანჯვაზე?

მე მინდა ჩემზედაც იფიქროთ ხოლმე ხანდახან.

მე ხომ არ შემიძლიან: გატეხილ სულით თუ მოთენთილ გულით წარმოვსთქვა ლექსები სცენიდან, მხოლოდ იმიტომ, რომ ეს ,,თქვენა გსურთ!" და ჩემის უსატრფოო მდგომარეობით თქვენ სატრფოთათვის აგაგზნოთ

მე თქვენი მარაო არა ვარ რომ ნაძალადევი ვნებათა-ღელვა გაგიგრილოთ!

,,ნუ იყოფინ აგრე, ნუ იყოფინ.

რაც გსურს დამავალე, რაც გსურს მიკიჟინე, მაგრამ უეშხოდ სცენაზე ლექსის წაკითხვა კი—ფას! არ შემიძლიან. ჰო, არ შემიძლიან! არ შემიძლიან, არა! არ შემიძლიან-მეთქი! ღმერთმანი არ შემიძლიან! ახა, ღმერთო ჩემო, არ შემიძლიან და რავქნა?!

ეროვნული ბიბლიოთეკა



რაფ. ალ. ივანიცკი (რ. ინგილო)
საინგილოს წარმომადგ., საქართ. ეროვ. საბჭოს წევრი, პუბლიცისტი



გიორგი ნიკოს ძე ნიკოლაძე
ვაჭრობა-მრეწველობის მინისტრის ამხანაგი

ხან ხოელი
ადერბეიჯანის მთავრობის თავმჯდ.

ოცნება

სიყრმიდანვე დავსტირიდი ჩემს სამშობლოს, მონურ მხარეს,
მისი ხვედრით ვიტანჯოდი, მზეს ვეძიდი მოელვარეს,
და დავფრენდი ცის სივრცეში, ვშორდებოდი ტურფა მდელოს,
სად ოცნებით მე ვეზიებდი თავისუფალ საქართველოს;
და იქ მხოლოდ განვიცდიდი წუიერსა სიამაყეს,
იქ ვხედავდი ქედმოდრილ ქართველ გმირებს მოამაყეს.
და იქ იყო ჩემი ბინა, სამლოცველო ჩემი ხატი,
ფრთა გაშლილი საქართველო, ოცნებითა დარახატი...

აღფრთოვანება

განგებითა საქართველომ მტრები თვისი კანიშორა,
ამირანმა ბორკილები დალეწა და მოიშორა,
აღსდგა მკვდრეთით საქართველო, ხმა მომესმა ძირს მიწიდან
და შეც ლაღი, ფრთა გაშლილი, გადმოვეშვი ცის სივრციდან.
შევიკვეტე სიხარულით საოცნებო ჩემი ფრთების
და განვშორდი ტკბილ ოცნებას, ამიცხადდა იმედები.
რა ვიხილე ტურფა მხარე მდელვარე და მოამაყე,
განვიცადე სიტკბოება და უბედური სიამაყე.

მწუხარება

მაგრამ დახეთ მუხთალ ბედსა, აბა იმას რა უწოდო,
ან ჩემ გულსა, დადაგულსა, მე რა რიგათ მოუწოდო...
ძმა ძმის სისხლში ხელებს ისვრის, დაგვდგომია შავი დღენი,
დარეგიან ერთმანეთსა გონ დაკარგულ ქართველთ ძენი...
დმერთო, დმერთო! რასა ვხედავ, ან ამ დროს რათ მოგესწარი,
ნუ თუ მარად უნდა მტანჯო, სიყრმიდანვე გულ დამწვარი?!

დედაქალაქი. ვარლამ ჩლაიძე

პოლკ. ავქ. აბესაძე.

საქართველოს წარსულიდან ისტორიულ წერილების მწერალი, ქართულ ჟურნალ-გაზეთების თანამშრომელი და შეგნებული მამულიშვილი მხედარი, დარიალის ხეობის კარის მცველი რაზმის უფროსი ბოლშევიკთა შემოსევამდე, რომელმაც ბირველად წინ წამოწეული ბოლშევიკები ძალზე დაამარცხა. ამ ყმად სამსახურიდან გადაყენებულია და შინაურულად დატუვებული. თხოულობს სიმართლის აღდგენასა და გასამართლებას.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ხელოვნების სამინისტრო

სახელმწიფო სახელმწიფოში, ასეთია კერძოდ მწერლობა და საზოგადოთ ხელოვნება. ჩვენი სახემწიფო ჯერ კიდევ მონობის კირთებს ჰზიდავდა, მწერლობა შეხუთული იყო და ხელოვნება დახუნდული, რომ ჩვენმა სამშობლო სცენამ და კალმის ეზოპისებურად ხმარებამ თვისი ჰქმნეს: ქართველობაში შეიტანეს თვითცნობიერება, სოციალური და ეროვნული აზროვნება მოამზადეს, ხალხს სამშობლო და კაცობრიობა შეაყვარეს.

და თუ ჩვენის კუთხის მიყრუებულ ადგილებში ჯერ კიდევ ველურობა უფრო სჭარბობს, ვიდრე ადამიანობა, თუ ეროვნული და კაცობრიული თვითშეგნება უფრო მცირეა, ანუ სულ არ მოიპოვება, ეს მხოლოდ იმიტომ რომ მწერლობა-ხელოვნების სხივს იქ ჯერ კიდევ არ შეუშუქებია. მიუხედავად ყველა ამისა, ჩვენმა მწერლობა-სცენამ ჩვენს მონობის ხანაში ქართველ ერს მაინც სამსახური გაუწია და ეს არვის არ უნდა ავიწყდებოდეს. ნამდვილად-კი რა ხდება?! ჰხდება ის, რომ დღეს სწორედ ეს დარგია მივიწყებული: თითქოს არავინ ფიქრობს ჩვენთვის საჭიროა თუ არა დრამატიულ-მუსიკალურ ხელოვნების გაძლიერერება, განვითარება!.. არავინ ფიქრობს საჭიროა თუ არა დაბასოფლებში ლექციების და ბუნდოვან სურათებით სახალხო საუბრების მოწყობა...

ყოველივე ეს საჭიროა ჩვენის ერის ას ღორძნებლად და გასათვითცნობიერებლად, რომ ხელახლად არ შევიქმნეთ მომწმენი იმ ძმათა შორის სისხლის ღვრისა ჩვენს ქვეყანაში რო მოხდა. არც ერთი დარგი კულტურისა და მეცნიერებისა ისე არ განაპეტაკებს ადამიანს, ისე არ აამაღლებს ყოველ მხრივ, ვითარცა რიგიანად დაყენებული სასცენო ხელოვნება, მხატვრული მწერლობა, ეროვნული მუსიკა და საერთოდ ხელოვნება.

მეორეს მხრივ ჩვენის ხელოვნების ას, პარეზი იმდენად გაფართოვდა, იმდენად გამრავალსახევდა, რომ აუცილებლად საჭიროა მისი მთავარი გამაერთიანებელი და მცველი მმართველობა.

ამიტომ, როდესაც ჩვენი ზოგიერთი სახელმწიფო მესვეურნი ჯერ კიდევ იმაზე კამათობენ — ხელოვნების დარგს ცალკეუწყება მივანიჭოთ თუ განათლების უწყებას მივაკოსოთო, მწარედ გვეცინება: ჩვენ არა ერთგზის მოგვითხოვ ა რომ ამ დარგს ჩვენს სამშობლოში განსაკუთრებული მართველობა უნდა მიენიჭოს და შეიძლება იმდენი სკოლამ ვერ შესძინოს-პირველხანად მაინც, რამდენსაც შესძლებს სცენიდან წარმონათქვამი ცოცხლი სიტყვა, სცენაზე განსახიერებული ცხოველი სახე სულისა და გულის განმსპეტაკებული სიმღერა-გალობა...

მაშ ჩვენი სახემწიფოებრივი მათნი, ნუ გადაეღობებიან საქართველოს ხელოვნების ცალკე სამინისტროს შექმნას: ჩვენს ხელოვნებას ამის უფლება წარსულმა მიანიჭა, აწმყომ უნდა განუმტკიცოს...

მის შესანახ ხარჯებზე ლაპარაკიც კი მეტია: თავისი სახსრითაც რომ ვერ ირჩინოს თავი, სახემწიფო ხაზინა მაინც მოვალეა გაუძლვეს.

ეს წერილი დაბეჭდად გაშვებული იყო, როდესაც ეროვნულ საბჭოს ხელოვნების კომისიამ გადასწყვიტა, დაარსდეს ,,ხელოვნების მთავარი გამგებლობაო.'' იმედია, ეროვნული საბჭო ამის კანონ-პროექტს დაამტკიცებს.

იოსებ არიმათიელი

ჰაემანი

როცა დაჰკრავს თორმეტი, მოდი ჩემთან ვარდო:
ვინ იქნება ჩვენს მეტი არვინ. ორნი. მარტო.

ჰაემანი! რა სიტყვა, ზურმუხტი და ნაზი
მაგონდება შავი ზღვა და ჩემი ლამაზი!

მარტო შვიდი ასოა მაგ მზიან სიტყვაში
და რამდენი ალერსი არის ჰაემანი!

სანდრო ჩაჩიკაშვილი.

სოფლის ჩუმი მუშაკნი

ძმანი არჯევანიძენი

ჩვენი ქვეყანა რომ უმთავრესად სასოფლო მეურნეობის ქვეყანაა, ამას მტკიცება აღარ უნდა. უბედურება მხოლოდ ის არის, რომ ბუნებით უხვს ჩვენს ქვეყანას გონიერი და რიგიანი მომვლელი დღემდე არ ჰყავდა, ჯერაც არა ჰყავს, მეურნეობა პირველყოფილ მდგომარეობაშია. ადგილობრივ მცხოვრებს ბუნება რასაც აძლევს, მით კმაყოფილდება მაშინ, როდესაც გონიერი და გამრჯე მარჯვენა ჩვენს ქვეყანას სამოთხეს დაამსგავსებდა.

ალბად ასე უყურებდენ ქვეყნის ერთგული მოყვარულნი შვილნი ჩვენის სამშობლოს ასეთს ბუნებრივ სიმდიდრეს, რომ თვითონ უყვირლად დაიწყეს ჩვენს დაბა-სოფლებში ინტენსიური მეურნეობის წარმოება: მეფუტკრეობის, მესაქონლეობის, აბრეშუმის ჭიის და სხ. გაჩენა.

ფრიად მძიმე იყო ასეთ მუშაკთ მუშაობა, ნაკლ-ეკლებით იყო მოფენილი გზა მათი, მაგრამ მიუხედავათ ამისა იგინი მაინც წარბ შეუხრელად მიდიოდნენ ჩვენს ყრუ სოფელში არა მხოლოდ სიტყვიერი საქადაგებლად, არამედ საქმის საკეთებლად ქვეყნის საკეთილდღეოდ.

როგორც უკვე აღვნიშნეთ ასეთები იყვნენ და არიან: ქართლ-კახეთში; კ. ამირეჯიბი, ძმანი ან. და ნ. არჯევანიძენი, მეფუტკრე ბაგრატიონი, მიხ. ერისთავი, ის. ფურცელაძე, ხვედურელი დ. ციციშვილი, მეუღლენი მამაცაშვილნი, ალ. სუმბათაშვილი, ჯანდიერის ასული (უმაღლესი სამეურნეო ცოდნით აღჭურვილი) და სხ.

ყველა ესეთნი მუშაკნი რაში არიან დამნაშავენი? მხოლოდ იმაში, რომ ზოგიერთ მუქთახორა ბედოვლათ თავადიშვილებსავით თავისი მამულ დედული ბანკებში არ დააგირავეს, არ გაყიდეს, ანუ ვისაც მამული არა ჰქონდა —შეიძინა და სოფლად გონივრულ-წესიერი მეურნეობა მოაწყო.

ერთი ასეთი ჩუმი სოფლის მუშაკთაგანნი არიან ძმანი ანტონ და ნიკოლოზ არჯევანიძენი. ვინ არიან ესენი?

ძმანი ანტონ და ნიკოლოზ არჯევანიძენი სოფ. ნორიოს მკვიდრნი, იგივე მაკარაშვილები(მაკაროვები) თუმცა თბილისის მოქალაქედ ირიცხებიან, სახელმწიფო სამსახურში დაწინაურებულნიც არიან, თვის სამშობლო სოფელთან კავშირს არა სწყვეტდენ ხალხის სამაგალითოდ გაუმჯობესებ. მეურნეობის წარმოებით. ამ ორთა ძმათა ორმოც წელიწადზე მეტი იქნება რაც სოფ. ნორიოში შეიძინეს ასიოდე დესეტინა, 37 ნაჭრად დანაწილებული და ხელი მიჰყვეს მეურნეობას: უპირველეს ყოვლისა გააჩინეს ძროხის საუკეთესო ჯიში, კარაქის კეთება და ღვება შემოიღეს შვეციის აპარატებით ევროპიულად, გამართეს ცხენების საჯოგე საუკეთესო ცხენის მოსაშენებლად— ინგლისურ-არაბულის და სხ., რისთვისაც 1892 წლიდან სხვა და სხვა გამოფენაზე დაჯილდოვებულ იქმნენ: ქების ფურცლით, მედალით, ფულით და სხ; 39 წლის წინად გამართეს საფუტკრე ახალის სამეცნიერო წესით, ამერიკული სკებით დაიწყეს პურის თესვის გაუმჯობესება და საუკეთესო თესლი შემოიღეს. სხვები რომ ბუნებითი ტყეებს აოხრებდენ, ამათ სოფლის სამაგალითოდ ეროვ დახრამულ ხევ-ხუვებში მშვენიერი ტყე გააშენეს, თითქო ბაღია. ძმათა არჯევანიძეთა საქმიანობამ არა ერთსა და ორს სოფელს გლეხს უჩვენა გზა ფუტკრის, პურის თესლის და საუკეთესო საქონლის მოშენების. ამათის მიბაძვით ახლომახლო სოფლებშიც ნელ-ნელა დაიწყეს მუშაობა. მაგალითი ხომ პირველი საქმეა.

როგორც გადმოგვცეს დღეს ეს მეურნეობა იმხობა, ნადგურდება.

ვიმეორებ, თუმცა ჩვენი ქვეყანა ბუნებით მდიდარია, მცოდნე და მუყაით ხელის უქონლობით ღარიბია, რის გამოც მეურნეობის ბევრი დარგი მოშლილია. ბევრს ვერც კი წარმოუდგენია რა დიდი სარგებლობის მოტანა შეუძლიან მეფუტკრეობას, აბრეშუმის ჭიას, მესაქონლეობას, ფრინველის მომრავლებას და სხ., ყოველივე ამას თითოეული ქართველი ინტელიგენტთაგანი, ანუ სოფელს გამოცილებული სადმე კანცელარიაში ამჯობინებს მუშაობას. რა ქნას ყრუ სოფელმა, თუ ნამდვილ ამხანაგობასა და ძმობას არ გაუწევთ, რიგიანის მაგალითით!

ამიტომაც საჭიროა ყოველ სოფლის შეგნებ. მუშაკს ხელი შეეწყოს, რითაც და ვისგანაც კი შეიძლება. კერძო თაოსნობა დიდი საქმეა, დიდი სარგებლობის მოტანა შეუძლიან და ამას წახალისება, განვითარება უნდა. ვისურვოთ, რომ ასეთ სამეურნეო კულტურულ მუშაობას მფარველი გამოსჩენოდეს.

იოსებ არიმათიელი.

შემდეგ წერილში სხვა მეურნეებს შევეხებით,

ეროვნული ბიბლიოთეკა

პილპილმოყრილი მადლი

სცენა ერთ მოქმედებად

(აზრი აღებულია ი. ჭავჭავაძის მოთხრობიდან)

მ ო მ ქ მ ე დ ნ ი:

ქვრივი . . . . . 44 წ.
მეზობელი დედაკაცი, სქელ-სელი 34 წ.
გლახა . . . . . 40 წ.
მეორე გლახა ფეხ-შიშველი . 50 წ.
მედუქნე ;რტო გაბერილი . 30 წ.

საღამო ხანია. ძველებური სუფთა დარბაზი, იქითაქეთ ორი კარი, ერთი ბაზრისკენ მეორე მარნისკენ. შუაზე კერა, ცეცხლი ანთია, რამდენიმე სოფლური დგამი. მარჯვნივ თარო, ნაჯახი, ცული და წალდია... მარცხნივ ტახტი, მის ასწვრივ ძველი ხალია გაკრული ხალზე ჰკიდია ძველებური თოფი, ხმალი, ხანჯალი. ფარდა რო იხდება, ტახტზე ზ-ს ქვრივი, დამბაჩა ხელში უჭირავს, და დაჰყურებს.

ქვრივი (დამბაჩას ჰკიდებს და თოფს ჩამოიღებს, სწმენდს, ცრემლი ერევა) ეჰ, თვალიმც გამოგშრეტია სიკვდილო!.. ეს უბედური ჩემი ქმრის ნაქონია. როგორ სცდება! ჩემო უბედურო თედო, როგორც მითხარ ისე უვლი და ვწმენდავ. (ათავებს წმენდას, თვალებიდან ცრემლს იწმენდს, თოფს ჩამოჰკიდებს. გარედან ყმაწვილების ტირილი, ხმა მოისმის: ,,პური მშია,'' ამის გაგონებაზე ქვრივი თავისთვის წამოიძახებს): ერთი ამ მოგონებაზე, იმ გაუმაძღარ, ზარმაცს და მშიერ დედაკაცს მივაწვდი პურს, თორემ მაგისი ყმაწვილების ცოდვა სამარეში არ მომასვენებს. [მიდის კიდობნისაკენ, იღებს რამდენიმე პურს კალთაში იწყობს და გადის მეზობლისას. მეზობლიდან ხმა ისმის):—აჰა, ხეთქე, რო დაგიღია, ეგ შავის მიწით ამოსავსები პირი, შე პირ შავო შენა, შენი დღენი ძაღლისავით სხვას შეჰყურებ, აგერ გამოხრულს ძვალს გადმომიგდებენო. შე არ დასაცალებელო, რისთვის მოუცია ღმერთს ეგ ბარძყის სისხო მკლავები..

(შემოდის ქვრივი და შემოჰყავს მკლავებ დაჭერილი დედაკაცი და ეჩხუბება). დახე, დახე ამ წუწკსა წუწკის შვილსა, სამგლე გოჭსავით გათხვირულა, ლუკმა პურის შოვნის უნარი კი არა აქვს. რა კარგი დაეყრება იმ შენს ცოდვის შვილებსა!.. შენი მაყურებლები შენგან აბა რა კარგს ისწავლიან!.. ისინი მაინც არ გეცოდება, შე უბედურის დღისავ!.. (მისჩერებია თვალებში.)

დედაკაცი (თავისთვის) ვიცი ამის ხასიათი; მადლს თუ პილპილი არ მოაყარო გემო არ ექნება, [ქვრივს] მადლობელი ვარ ჩემო კეთილო და შემბრალე, მადლიანო ადამიანო ადამიანო..

ქვრივი (აწყვეტინებს) გაწყეიტე ხმა, შე გასაწყვეტო, მადლობა... შენთვის მაგრად შეინახე, ძონძებში გამოიკარ, არ დაგეკარგოს... დიდი განძია ეგ შენი მჭლე მადლობა ჩემთვის, ო, შენმა მზემ. (დაცინვით) აგრე ხელგაშლით რად იხარჯები?.. აი, მეხი—კი დაგაყარე. მადლობა... კარგია მუქთაა თორემ, მაგასაც ხომ ვერ იშოვიდი, რომ გარჯით საშოვარი იყოს. მადლობა. ეგ შენი მადლობა, გინდა გახიე, გინდა გაფხრიწე, მე არ მესაჭიროება.

გლახა (მოარახუნებს კარებს გარედან. ქვრივი კარებს გააღებს, გლახა მიესალმება) საღამომშვიდობის. მიწყალობეთ რამე.

ქვრივი ი... ი... ი... შენ კი მოგიკვდეს ეგ უხეირო თავი. ჰაი, თუ დაგიბრიყვებია ჩემისთანა სულელი დედაკაცები და ლუკმა პურს პირიდან აცლი; აი მეხი—კი დაგაყარე მაგ ქეციან თავზედ. შე ოხერო, რომ აგიღია თავი და დაეხეტები სათხოვრად, ნამუსი აღარა გაქვს? ამ წუთი-სოფელში ვისა აქვს მეტი ლუკმა, რომ შენ გაძღიოს. ვერა ხედავ შე გულ-მკვდარო, ვინც კია, წელებზედ ფეხს იდგავს, დღის სარჩოს ძლივსა ჰშოვილობს და შენ როგორღა გარჩენოს! ქვეყნისა არა გრცხვენია. არა შე ოყრაყო, ჩემისთანა ქვრივი, დედაა შენი, მამა, თუ შენი მოვალეა, რომ შეგინახოს. აი გაგიხმეს ეგ ხელ-ფეხი. რისთვის გასხია ეგენი მაგ მუტრუკის ტანზე, თუ ვერ მოგიხმარებია? ქვეყანას თავისი თავი კი შეუნახავს, რომ ეგ შენი ბრიყვი თავიც ინახოს? (აძლევს გასაკითხავს) ფუ, შენს ნამუსს, დაიკარგე.

გლახა. მადლობელი ვარ. (ბუტბუტით გადის)

დედაკაცი ოჰო, ჰო, ჰო, ჰო... პილპილ მოყრილ მადლს, რომ იტყვიან სწორეთ ისეთი მადლი აქვს ამ ჩვენს დალოცვილს ქვრივს. თავის დღეში, რომ არ გაევლოს საცოდავ გლახას, ამის ახლოს, ის არ ერჩია ამდენს წყევას შერცხვენას?..

ქვრივი დედაკაცო. შენ რაღას ბუტბუტებ, შე წუწკო, წუწკის შვილო, რას უყურებ, პური ხომ მოგაშავე... წადი აქედან, თვალით აღარ დამენახო შე არამზადავ...

დედაკაცი (გადის, თან აბობს:] ღმერთმა დაგწყევლოს შენც და შენი პილპილმოყრილი მადლიც.

ქვრივი —ოჰ, ღმერთო, რათ აჩენ ამ ქვეყნად ისეთ ადამიანს, რომელსაც თავისი ჯანით პურის ჭამა არ შეუძლია და ქვეყანას აწუხებს. [ისმის კარებზე კაკუნი.] ვინა ხარ?

მეორე გლახა მე თქვენი მონა მორჩილი გახლავართ, მოწყალება მოიღე, გამიკითხე.

ქვრივი მეორე გლახა! რა ეშველება ამდენ გლახებს, ჩემი საბადებელი მაგათ მიაქვთ. (კარს უღებს პურს აძლევს.] ნუ გეგონება, რომ მადლს გიშვრები რასმე—აი გაქრეს,—ჩემი თავი შენთვის არა გაიმეტოსრა, წამოშავდი მარანში ღვინოს ჩაგაცეცხლებ. აიქვევრში რაღაც წუმპე ჩარჩა, მაინც გადასაღვრელია, გადაღვრას შენ ჩაცეცხლო. [მიჰყავს მარანში, ღვინის დალევის შემდეგ შემოჰყავს სახლში და ეუბნება:] ეგ ხომ ჩაცეცხლე, გახეთქოს შენი მუცელი, მაგასაც [გადაუტანიხარ, რო მეორედ აღარ მენახოს შენი თავი...

ეროვნული ბიბლიოთეკა

მეორე გლახა მადლობელი ვარ [გადის ნელ-ნელა და თან უმადურობის სიტყვებს ამბობს.)

ქვრივი [რომ შეხედავს მიმავალს დაუნახავს და-ხეთქილ ფეხებს და დაუძახებს:] დამაცა შე არ დასა-ცალებელო. [გლახა შესდგება. ქვრივი თავისთვის ამ-ბობს:] უქალამნობით ფეხები დახეთქილი აქვს, ამ ადრე და მალე სასიკვდილეს. [წამოისხავს შალს და ეტყვის:[ჩემთან მოშავდი შე ადრე სასიკვდილე და გვიან დასამარხავო.

მეორე გლახა [გაოცეაული ხელების შლით მი-ვა და ამბობს:] რა უნდა ჩემგან, რომ აღარ მიშვეას. რა ჭირად შემოვედი. მე ამის წყევას და ყვედრებას ვერ გადურჩები.

ქვრივი (კარებში გაიხედავს, ხმა მაღლა დაიძა-ხებს.] ბიჭო არტო! მედუქნე, ერთი შოლტი ღორის საქალამნე მომეცი. (ხმა გარედან ეხლავე).

მედუქნე[შემოაქვს საქალამნე და აძლევს ქვრივს;

ქვრივი [ქვრივი საქალამნე ათვალნერებს და თან გლახას ეუბნება:) აი, შე არ დასარჩენო, ეს შე-ნთვის ვიყიდე ამოისხი და ჩაიცვი. [თან ზომავს.)

მედუქნე რაო, მაგისთვის იყიდე, გემართა თუ რა?

ქვრივი (მოატყუებს] მაშ არადა, მაგის თავის მზემ, ჩემს თავს მოვაკლებდი და მაგის ქალამნებში მი-ვცემდი. (საქალამნეს გლახას თავზე მიახეთქებს.

გლახა (თვალებზე ხელს მიიფარებს და წაილუ-ღლუღებს] პილპილ მოყრილი მადლი ეს არის. (გადის.)

ფ ა რ დ ა.

გ. კვაცხუთელი.

პორფილე გორგოშიძე

უფროსი უნტ.-ოფიცერი, ჟურნ. ,,თეატრი და ცხოვრ-ება''-ს ასოთ ამწყობი, დაიჭრა ჩოლოქთან 1918 წ. აპრილის 8-ს ვ. გოგვაძის ჯავშნოსან მატარებელზე (№ 4) როდესაც ოსმალო გურიის საზღვარს შემთესია და ამ შემოსეულ მტერს გააფთრებით ებრძოდა. აქვე დაიჭრა მისი მეორე ძმა ალექსანდრე. ესეც ჯავშნოსან მატარებლის რაზმელი. ორივე გმირი ძმა დაჯილდოე-ბული იქმნენ გიორგის ჯვრით,

ჩემი გულის თქმა

ოხ, ჩემი გული—
მარად დაგული
როდის იქნება რომ აყვავდება!..
სამშობლოს წყლული,
დევნილი სული
განიკურნება-გამომთელდება!..
ნუ თუ საფლავი—
მრისხანე, შავი
ისე მიმუხთლებს სატრფოვ ჩაგრულო,
რომ ჩემი ერი
მხნე და ძლიერი
აღარ ვიხილო გონს მაცემულო!..
ნუ თუ მარადის
ჭირი რაც დაღის
ცოდვილი ქვეყნის სამფლობელოზე
და ცის გრიალი,
რისხვით ტრიალი
სჭექს და იქუხებს შენს მთა ველოზე!..
და გლოვის ზარი
ტირილი მწარი
არ მიიცვლება, აღარ გაჰქრება
და მის საფლავზე
ცის კრის ვარსკვლავზე
არ აყვავდება კვლავ ნეტარება!..
არის ნიშანი
და მრწამს მიზანი
ძლევის გვირგვინით შეიმოსება,
თუ ერის ხელი—
მრისხანე, ცხელი
მტერს მახვილს ჩასცემს, შეეკვეთება
და კიდეც ვცანი—
მისი მგოსანი,
რომ მოვესწრობი მის კეკლუცობას,
მთისა და ველის
მტრის გულის მწველის
ცის ჰანგით სტვენას, მუსიკალობას...

ცრემლნადენი

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს განთავისუფლების მოღვაწენი

(1832 წ. ,,ფარული საზოგადოება'')

(გაგრძელება. იხ. თ. და ც. № 11)

რუსებმა რო ნახეს თვალით და გაიცნეს ქართველი ერის ოჯახის ძლიერება და ავ-კარგიანობა, მაშინვე დაიწყეს თავისებური მოწესრიგება. ყველა ეს მოწესრიგება იყო ქართველი ერის დაქვეითება, დაჩაგვრა, ქართველი ოჯახის მოსპობა, თითქმის საქართველოს ერის განადგურება; მათი ხსენების გაქრობა, ქართველის გარუსება, ქართული ენის მოსპობა და მის საშუალებით საქართველოს რუსეთთან გაერთიანება. ამის შესრულება შეუდგნენ იმ ხანიდამ, როცაკი მათ შესძლეს ეს და მოახერხეს. რუსებმა თვისის ბოროტებით მალე გამოიწვიეს ქართველებში წინალმდეგობის აღორძინება. და რუსთაგან საქართველოს განთავისუფლების აზრი. აი ესეც ამათი ბოროტებანი, რაც შეიძლება მოკლეთ: რუსებმა საქართველოში შემოსვლის უმალვე დაამდაბლეს ქართველი ერი. დაამდაბლეს ქართველი ერი და დაუწყეს გმობა. ყველგან საქართველოში მოსპეს ქართული ენა და ამ ენით საქმეების გაერჩევა და კამათი. მათ-კი პირობა ჰქონდათ, რომ ეს არ უნდა ექმნათ. მოსპეს ქართული სასწავლებელი და მის მაგიერ დაარსეს რუსული სამხედრო სკოლები და კაზარმები. ქართველ თავად-აზნაურობას და მათ ყმათა ერთობას შურიანის თვალით შეხდეს. ამიტომ თავად აზნაურთა და მათ ყმა გლეხთა შორის დაამკვიდრეს განხეთქილება, მტრობა და ერთმანეთის სიძულვილი. შეიშურეს თავადის შვილების დიდი გვარის და დიდი მამულ დედულის პატრონები და ისურვეს ამათი გაღატაკება. გლეხებს აჰყარეს ის პატივის ცემა, რაც მათ აქვნდათ საქართველოს მეფობის დროს. ამიტომაც ამათ გარყვნეს მთელი თავად-აზნაურობა ასწავლეს ყველა ნაირი სივერაგე. თავად-აზნაურნი თამაშობაში აგებდნენ მამულებს, ყმებს, ერთმა ცოლიცკი წააგო. თბილისში რუსებმა დახსნეს საკახპოები კაბაკები, ტრახტირები, მიკიტნის დუქნები და სხვაც ასეთი საყომარბაზო სახელები. აქ სიარულს მიეჩვია ქართველი ერი, ქეიფებს, ლხინებს და ამისათვის ყველაფრის' თვით უძრავ მამულების, დაგირავებას და გასყიდვასაც მიჰყო ხელი. ასეთის ოსტატური მტრობით დაეცა ქართველი კაცის აყვავებული ოჯახი და გაწრიოკდა, დაეცა თავად-აზნაურობა: არისტოკრატიულ თავადის შვილობა, შეძლებული სოფლის გლეხი ოჯახის შვილები და თვით ქართველი მოქალაქენიც, ყველა ამათ გაქრობას ხელს უწყობდა რუსეთის მთავრობა. რუსები სიხარულს იყვენ მიცემულნი. ამ სახით არ აღსრულდა რუსეთის პირობის სიკეთენი. რუსების მთავრობის ბოროტება მარტოთ ამითი არ გათავდა; აქ ბევრი კიდევ სხვა არის მოსათვლელი ხოლო ყველას ვერ მოვსთვლით. 1801 წ. შემდეგ რაკი რუსებმა საქართველო ხელში ჩაიგდეს მის შემდეგ ქართველი ბატონიშვილი სულ რუსეთში გადასახლეს, მათ იქ მისცეს ცოტა დახმარება და სუყველა მასთან გარყვნეს, გაალოთეს, გააბიძზეს. ამერ-იმერეთის ბაგრატიონის რიცხვი 100 კომლზედ მეტი იყო, სულ მოსპეს უცოლშვილოთ. რუსებმა ეს მიტომ ქმნეს, რომ ამათი ეშინოდათ, მამრობითი სქესი არ გამრავლდეს და მერე საქართველოზე დავა არ აგვიტეხოს, მევრი ამათგან ჩუმათ მოკლეს, ზოგი მოწამლეს, აგრეთვე უყვეს თბილისში მცხოვრებ ალექსანდრე ბატონიშვილს ირაკლის. ამის ერთი ვაჟიშვილი ძიძამ შესყიდვით ბალკონიდამ ჩააგდო და ბავშვი ამით მოკვდა 1880 წ. რუსის მთავრობამ ქართველებს დაუხსნა ისეთი ფულის სასესხებელი კასები და მერე პრიკაზი, საიდამაც ქართველები ადვილათ ისესხებდნენ ფულებს და უვალო კაცნი ვალიანდებდენ. ამისთანა მანქანებით დავალიანდა მთელი ქართველი ერი და მერე ასე დავალიანებით დაირღვა ქართველი კაცის აყვავებული ოჯახი, მამულები და ყოველივე სულ დაისყიდა ვალებში. რუსის მთავარ-მართებული მიხ. ვარანცოვი რომელიც საქართველოში ჩამოვიდა 1846 წ. იყო მეტათ მოხერხებული მტერი ქართველი ერისა. ამან ქართველებს თავი შეაყვარა, 1851 წ. ამის თაოსნობით გ. ერისთავმა ქართული თეატრი დაარსა თბილისში. 1852 წ. ამისივე დახმარებით გამოიცა ჟურ. ,,ცისკარი'', დაარსა სკოლები და ყველა ამაებთან გახსნა მამულების დასაგირავებელი პრიკაზიც, სადაც ქართველ თავად-აზნაურებმა იწყეს თავიანთ უზარ-მაზარ მამულების დაგირავება, მერე ამ ,,პრიკაზის'' ვალში ეს მამულები სულ ხურმის ფასად იყიდებოდა. ვორონცოვმა ქართველებში ისე გაიკეთა სახელი, ვითომც იგი ქართველი ერის გულშემტკივარი იყო ის კი არა იგი იყო ჩუმი მტერი და ისეთი ბოროტი, რომლის მსგავსი ნაკლებად მოიძებნებოდა თვით აშკარად ბოროტად ცნობილთა შორისაც.

(გაგრძელება იქნება)

ზ. ჭიჭინაძე

ფრუმადან

თუ გინდა რომ კაცის გული დაიმონოს ციურ ჰანგმა,
სიმწუხარეს მიუმღეროს ცით მოძღვნილმა შენმა ჩანგმა
სულ ცოტაა მისთანები, რომელთ ეწყოთ ტკბილად
მღერა,
თავისუფალ, უდარდელ გულს რომ ქმ.ო — ჰპოვებ
ვერა,

ლ. ძიძიგური

ქართლის ლოცვა

ღვთისმშობელო გევედრებით,
მოგვეხმარე გამარჯვებას:
ძირს დამხე ჩვენი მტერი,
კეთილს მიეც აშაღლებს...

მეთოდე ახათიანი

ეროვნული ბიბლიოთეკა

სამშობლოს მსხვერპლნი

პოდპ. იასონ ნიკოლოზის ძე ფილიპია (1891-1918)

ჩვენი საშობლოს აღდგენა და წელში გამაგრება ახალ-ახალ მსხვერპლს ითხოვს. ეს მსხვერპლნი არიან სახელოვანი და უკვდავნი თვის ერის ხსოვნაში.

ერთი ამგვართაგანია პოდ. იასონ ნიკ. ფილიპია.

სოფ. ხეთის ზუგდ. მაზრ. (სამეგრელო) მცხოვრები იასონ ნიკ. ფილიპია, ხეთის ორ კლასიან სკოლაში სწავლა დამთავრებული და თვითგანვითარებული, გაიწვიეს სამხედრო სამსახურში 1915 წ. აპრილში, 21 წლისა, ჩარიცხეს უბრალო ჯარის კაცად ერთ ერთ ჯარის ნაწილში და გაგზავნეს შორეულ რუსეთში, ორენბურგში. სამსახურში მან მყისვე მიიქცია უფროსების ყურადღება, დანიშნეს ,,უჩებნი კამანდაში'', მერე ორენბურგის საპრაპორშჩიკო სკოლაში რაც იმავე წელს გაათავა.

1916 წ. იანვარს სათადარიგო პოლკში დანიშნეს რუსეთში, ექვსი თვის მერე გაგზავნეს დასავლეთის ფრონტზე მე 765-ე ქვეითა ზიმნიცის პოლკის მეათე როტის უფროსად, ფრონტზე დარჩა წელიწად ნახევარს და მუდამ ბრძოლაში მონაწილეობდა.

შორეულ რუსეთიდან თვის ხშირ-ხშირ ბარათებში მუდამ იმას იწერებოდა ,,როდის ვეღირსებით იმ ნეტარს დროს როცა ჩვენს სამშობლოში აილაგმება ავაზაკ-ნაძირალთა თარეში და სწავლა-განათლებას აქცევდეს ყველა ყურადღებასო.''

1917 წ. დეკემბერს 20-ს ჩამოვიდა დროებით მაგრამ არეულობის გამო აქ დარჩა და 22-ს იანვარშივე მესამე ქართულ პოლკში ჩაეწერა. მონაწილეობდა ბოლშევიკებთან წინააღმდეგ ბრძოლაში ოფიცერთა რაზმში ქალ. ზუგდიდში, ბოლო დროს 18 ივნის კი სხვა რაზმთან ერთად გაიგზავნა სოხუმის არეულობის ჩასაქრობლად, სადაც სოფ. ხოსტაში ქ. სოჩის ახლოს 5 ივლისს ბოლშევიკებთან ბრძოლაში გმირულად მოკლულ იქმნა.

როგორც მტებთან მეხძოლი, იგი იყო ყოვლად უშიშარი, გულადი; იგი მუდამ ბრძოლისკენ მიისწრაფოდა, ამხანგობაში ბევრჯერ რთქვამს ,,ეგზეკ - გაოს - როლილ ტყვიას კბილთ დავიჭირამო.''

რუსეთიდან რომ ჩამოვიდა მან არ მოისურვა სახლში გაჩერება, მყისვე ჯარში ჩაეწერა, მას სწყუროდა სამშობლოს სამსახური. უშიშარობამ და საშობლისათვის თავდადებულობამ ბოუსპო მას ჯანსაღი ახალგაზდა სიცოცხლე. დიახ! იასონი იყო სულით და გულით ერთგული ჩვენი საქართველოს ნორჩი დემოკრატიული რესპუბლიკისა. მას უნდოდა ესახელებინა თავი საქართველოს მტრებთან ბრძოლაში და კიდევაც შეასრულა ნატვრა: გმირულად შესწირა თავი.

სალხში კი დარჩენ შავებში ჩამსხდარნი მოხუცი დედმამანი, დები და ძმები, რომელთა ცრემლის ნაკადული დღესაც იღვრება; რათ ღირს მათი ცხოვრება ეიასონოთ, მაგრამ იმ იმედით ინუგეშებენ თავს, რომ რესპუბლიკას ესაჭიროებოდა ერუთგული მებრძოლი; ბეერმა უკვე შესწირეს თავი და კიდევ საჭიროა შეეწიროს და აი მხოლოდ ესღა ანუგეშებს იასონის, შავებში ჩამსხდარ დედ-მამას.

ალსენ ტურაბელიძე

შორაპნის სახელოვან გვარდიის სახელოვანი გმირი, მონაწილეობას იღებდა ანარქიასთან ბრძოლაში. იგი იყო ახალციხეში, ნატანებში, სოხუმში, თბილისში, მონაწილეობას იღებდა თათრების წინააღმდეგ ბრძოლაში. 17 ივნისს გუდაუთთან ცხარე ბრძოლის დროს მოწინააღმდეგის გამოსროლილი ტყვია მოხვდა თვალში, მაგრამ იგი არ შემკრთალა, ეცა ტყვიის მფრქვეველს, რამდენჯერმე მოასწრო გასროლა და კიდეც დაეცა ძირს. მტერმა იგი სასტიკათ აწამა და ისე მოჰკლა. საუკუნო იყოს ხსენება შენი საყვარელო არსენ. საქართველოს რესპუბლიკის გმირთა შორის შენი სახელიც მარად ვარსკვლავივით იკაშკაშებს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

სალამი!

სალამი ,,თეატრი და ცხოვრება‘‘-ს რომელიც ჩვენი დროის საარაკო სიძვირის დროს მაინც გამოდის და სულიერ წყურვილს ოდნავ მაინც გვიკლავს. გასაოცარია, რედაქცია როგორ უძლებს სურათებისა და ქაღალდის ეგოდენ ხარჯებს!

ნება მიბოძეთ მე, როგორც თავისუფალ საქართველოს მოქალაქემ და ჩვენი კულტურულ წარმატების ერთმა მონატრეთაგანმა 50 მან. შემოგაწიოთ. ჯერ ხნობით მიიღეთ ეს ჩემი წვლილი სულით და გულით გისურვებთ წარმატებას.

მკითხველი: გ. ი. რ ძე

პატივცემულო რედაქტორო!
ხუთშაბათს, 18 ივლისს 1918წ. ქ სურამში, ქარ. მოწავე სცენის მოყვარეთა მიერ გამართულ იქმნა საღამო, თქვენს პატივცემულ ჟურნალ „თეატრი და ცხოვრების“- სასარგებლოდ. წარმოდგენილი იყო დრ. ესკიზი „ლურჯი ხალათი“, კომ. ,,ადვოკატთან‘‘ და ვოდ. ,,დატრიალდა ჯარა‘‘. წმინდა შემოსავალი დაგვრჩა 200 მან. (ოცი თუმანი) რომელსაც გიგზავნით.
გამგე: **შ. ვარსიმაშვილი.**
რეჟის. **კოწია მურვანიშვილი.**
ქ სურამი 1918წ.

ჟურნ. , თეატრი და ცხოვრება‘‘ -ს
შემოსწირეს

1, გ. ხუციშვილმა — — — — — — — 5 მ
2, გ. გიგოძემ — — — — — — — 3 მ.
3, ი. სტურუამ — — — — — — — 10 მ.
4, გ. კოლელიშვილმა — — — — — — 5 მ.
5, გ. თურაბელიძემ — — — — — — 100 მ.
6, გ. ი. რ-ძემ — — — — — — — 50 მ.

შემომწირველთ გულითადს მადლობას უძღვნით. რედ.

ყველასათვის საჭირო და სასარგებლო წიგნი
(ოცდა ხუთი წლის ნაშრომი)

უცხო სიტყვათა
ლექსიკონი

შედგენილი იოსებ იმედაშვილის მიერ, მეორე შევსებულ-შესწორებული გამოცემა, გამოვიდა. შეიცავს 1100 გვ. ჟელის მომწერთათვის, საუკეთესო ყდით —20 მან., უყდოთ —15 მან. (წინად შემოტანილის გამორიცხვით). ბაზარზე ყდით—30 მ., უყდოთ 25 მ. საწყობი: თბილისი, ბაზრის ქ. ნომერი 20, ალექსანდრეს ბაღის პირდაპირ, რედაქცია „თეატრი და ცხოვრება“

რედაქტორ-გამომცემელი **იოსებ იმედაშვილი**